

ილია ჭავჭავაძის სახელობის  
თბილისის ენისა და კულტურის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ენა, თარგმანი, ლიტერატურა

«ენა და კულტურა»  
თბილისი  
1999

სტუდენტური არგო თანამედროვე ფრანგულ ენაში

არგო-ეს ქურდული სამყაროს პროფესიული ჟარგონია. იგი მოიხსენიება ჟერ კიდევ XIII ს. ხელნაწერებში. XIX ს. მეორე ნახევრიდან არგოს ლექსიკა ერევა დიალექტიზმებს და თანდათან მკვიდრდება ენაში, ფაშილარულ მეტყველებაში. აქედან უკვე არგო გადადის მხატვრულ ლიტერატურაში.

რომელიმე პროფესიული ან საზოგადოებრივი ჯგუფის მეტყველებას ეწოდება ჟარგონი, რომელიც ფრანგულ ენაში არგოს სახელითაა ცნობილი. როგორც სოციალური ჟარგონი, არგო მიეკუთვნება სოციალური დიალექტების ფართო ჯგუფს. იგი

ყველაზე შესწავლილი და ამასთან ერთად ყველაზე თავისებურია სოციალურ დიალექტებს შორის.

როგორც ფრანგი მეცნიერი პ. გირო აღნიშნავს, “არგო განსხვავდება ბუნებრივი ნაციონალური ენისაგან თავისი ფუნქციით. ნაციონალური ენის ფუნქციაა ერის გაერთიანება, არგოს ფუნქციას კი წარმოადგენს საზოგადოების ერთი სოციალური ჯგუფის გაერთიანება და სხვა სოციალური ჯგუფებისაგან მისი გამოყოფა” (7, 29).

არგოს ცვლილების ტემპი ბევრად განსხვავდება ნაციონალური ენის ცვლილების ტემპისაგან. არგო სწრაფად იცვლება. ეს განპირობებულია მთელი რიგი მიზეზებით: მას არ გააჩნია დამწერლობა და “ლიტერატურული” ნორმა, ამიტომ არგო კი ვითარდება, ის უფრო სწორად იცვლება. იგი მოკლებულია პროგრესს, რასაც განიცდის ნებისმიერი, დამწერლობის მქონე ბუნებრივი ენა. ის კანონზომიერებანი, რომლებიც არგოს შიგნით მოქმედებს, აახლოებენ მას, ერთის მხრივ, ბუნებრივ ენებთან, მეორეს მხრივ-ხელოვნურ ენებთან.

ფრანგი მეცნიერი ა. დოზა თვლის, რომ არგოს არ გააჩნია სპეციალური სემანტიკა, იგი უპირატესობას აძლევს ზოგიერთ სემანტიკურ ხერხს, რომელიც არსებობს ნაციონალურ ენაში, ყველაზე სპეციფიკურ მოვლენას არგოში ირონია წარმოადგენს” (5, 155).

თუ განვიხილავთ არგოს შიდა სტრუქტურის თვალსაზრისით, მისი ლექსიკა გასაიდუმლოებულია. არგოზე მოლაპარაკეთა მიზანია ის, რომ მათი მეტყველება გაუგებარი იყოს სხვებისათვის.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არგო არის საზოგადოების ვიწრო სოციალური ჯგუფის ენა. ანსხვავებენ პროფესიულ არგოს, რამდენი

პროფესიაცაა, იმდენი სახის არგო არსებობს. გამოყოფენ სხვადასხვა სახის არგოს: სამხედრო, სპორტული, სასკოლო, სტუდენტური და სხვა.

სტუდენტური და სასკოლო არგო თავისებურ პროფესიულ-სოციალურ არგოს განეკუთვნება. ასე მაგალითად: Cache mon papelard-დამალე ჩემი “შპარგალკა”. Je te ferai la compot' de math, si tu me tuyautes vieux-მე შენ დაგიწერ საკონტროლოს მათემატიკაში, თუ შენ მიკარნახებ, ძმაკაც (1, 175).

არგოს ლექსიკა გამოირჩევა არა მხოლოდ სოციალურ-სტილისტური შეფერილობით, არამედ ექსპრესიული ნიშნებით, რომელიც დაკავშირებულია მის ცოცხალ, წარუშლელ ხატოვნებასთან. ასე მაგალითად, ირონიული ექსპრესიით გამოირჩევა არგოტული სიტყვა la tangente, ნაციონალურ ენაში იგი გეომეტრიული ტერმინია და ნიშნავს “ტანგენსს, მხებს”, არგოში კი ნიშნავს “სუდამხედველს გამოცდაზე”.

სასკოლო არგოს ლექსიკა თავისი წარმოშობის მიხედვით იყოფა ჯგუფებად.

ჩვენს მიერ გამოყოფილ იქნა არგოს წარმოქმნის 6 ხერხი. ესენია: 1. სიტყვათა შეკვეცა; 2. ელიფსი; 3. სიტყვათა წარმოშობა საკუთარი სახელებისაგან; 4. აფიქსაცია; 5. სესხება; 6. სემანტიკური გადააზრება.

ბევრი არგოტული სიტყვა სიტყვათა შეკვეცის შედეგად წარმოიშვა. შეკვეცის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა აპოკოპა. ის ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მოკვეთას. მაგალითად: math-mathématiques, dico-dictionnaire, compo-composition, amphi-amphithéâtre.

არგოტული სიტყვების წარმოქმნის მეორე ხერხია ელიფსი. თუ აპოკოპა ნიშნავს სიტყვის

შეკვეცას ერთი ან რამდენიმე ფონემით ან ერთი მარცვლით, ელიფსი ნიშნავს ერთი ან რამდენიმე სიტყვის შეკვეცას სემანტიკური ჯგუფის შიგნით. ასე მაგალითად: la Cyr-l'École spéciale militaire de Saint-Cyr; le Catho-Institut Catholique.

ბევრი არგოტული სიტყვა წარმოიშვა საკუთარი სახელისაგან, დაკარგა რა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და იქცა საზოგადო სიტყვა. ასე მაგალითად, Eydoux სტუდენტურ არგოში ნიშნავს “ჯგუფხელს”-წარმოიშვა სკოლის დირექტორის გვარისაგან. ლინგვისტიკაში ამ მოვლენას პატრონიშებს უწოდებენ. Le Lâius არგოში ნიშნავს გრძელ, მოსაწყენ სიტყვას, ლექციას. იგი წარმოიშვა ოდიპოსის მამის სახელისაგან. L' Austerlitz სტუდენტურ არგოში ნიშნავს კალენდარს, წარმოიშვა იმ ადგილის სახელწოდებიდან, სადაც ნაპოლეონმა ერთ-ერთი გამარჯვება მოიპოვა.

არგოტული სიტყვების წარმოქმნაში დიდ როლს ასრულებს აფიქსები, როგორც პრეფიქსები ისე სუფიქსები. ყველაზე მეტად გამოიყენებული პრეფიქსებია: ra-; re-; bi(bé), méga, poly. ასე მაგალითად: bibac იგივეა რაც baccalauréat, bégaler იგივეა რაც régaler ანუ “მირთმევა”. Mégadrap's სტუდენტურ არგოში ნიშნავს “სამ კვირას”( სამ კვირაში ერთხელ სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში ცვლიან თეთრეულს).

არანაკლებ მნიშვნელოვანია სუფიქსაცია. ყველაზე მეტად გავრცელებული სუფიქსებია: -iste; -aille; -ingue; -igo; -in და ა.შ. მაგალითად: argotiste-ლინგვისტი, რომელიც არგოს შეისწავლის. Chimicaille იგივეა, რაც chimie; santard იგივეა რაც santé. Réflingue იგივეა, რაც réfectoire.

სტუდენტური არგოს შექმნაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიტყვათა სესხებას, სიტყვათა სესხება ხდება სხვადასხვა ენებიდან: ლათინურიდან, ბერძნულიდან, გერმანულიდან და ა. შ. ნასესხები სიტყვა არგოში ზოგჯერ იმავე მნიშვნელობით იხმარება, ზოგჯერ კი იცვლის მნიშვნელობას. ასე მაგალითად: სიტყვა le kino ნასესხებია ბერძნულიდან-ნიშნავს “კინოს”, სიტყვა badour არაბულიდან, ნიშნავს “ლამაზს”. Accipere ლათინურში ნიშნავდა “მიღებას”, სტუდენტურ არგოში ნიშნავს “აღებას”. სიტყვა boom ( სენსაცია) ნასესხებია ინგლისურიდან და სტუდენტურ არგოში ნიშნავს “ სასკოლო დღესასწაულს”. არგოტული სიტყვების შექმნის ყველაზე დიდ ჯგუფს შეადგენს სემანტიკური გადააზრების შედეგად მიღებული სიტყვები. ეს ისეთი სიტყვებია, რომლებიც არსებობს ნაციონალურ ენაში, მაგრამ სტუდენტურ არგოში ისინი სხვა მნიშვნელობით გამოიყენება.

ასე მაგალითად, სიტყვა absorber (შეწოვა) სტუდენტურ არგოში ნიშნავს “ ბეჯითად მუშაობას”. L'ancien ( ძველი, ყოფილი ). ნიშნავს “ III კურსის სტუდენტს”. Le bahut ( სკივრი ) ნიშნავს “სკოლას”. Le binôme (ბინომი)-ნიშნავს “ოთახის მეგობარს”. Pomper (ტუმბვა) კი სტუდენტურ არგოში ნიშნავს “გადაწერას”.

უნდა აღვნიშნოთ, რომ არგოს ლექსიკა ძალზე მდიდარია. იგი პოპულარულია საფრანგეთში. არგომ ღრმად გაიდგა ფესვები. დღეს საფრანგეთში დიდიდან პატარამდე ყველა არგოს იყენებს და თუკი ვინმე “ სუფთა” ფრანგულით ლაპარაკობს, მაშინვე ხვდებიან მის უცხოურ წარმოშობას. კლასიფიკაციამ დაგვანახა, რომ ზოგიერთი არგოტული სიტყვა ერთდროულად რამდენიმე ხერხის

გამოყენებით წარმოიშვა, ზოგი კი მხოლოდ ერთ მეთოდს იყენებს. ჩვენ ვერ შევძელით ყველა სიტყვის განხილვა და შეუძლებელიც იყო ერთ სტატიაში მათი მოთავსება. ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა ისეთი არგოტიკული სიტყვები, რომლებსაც ყველაზე მეტად იყენებს სტუდენტი ახალგაზრდობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. M. K. Морен И. Н. Тетеревникова. Стилистика современного французского языка. М. 1960.
2. G. Caradec. Dictionnaire du français argotique. Paris, 1977.
3. A. Dauzat –Les argots. paris, 1929.
4. G. Esnault. Dictionnaire historique des argots français. Paris, 1965.
5. P. Guiraud-L' argot. Collection “ Que sais-je?” Paris, 1973.

**Kétévan Djachy**

### **L' argot des étudiants en français moderne** **Sommaire**

Le présent article concerne les problèmes de la calssification des procédés de la formation des argots scolaires. L' évolution des argots se règle sur les lois essentielles du développement de la langue générale. Dans son développement accéléré l' argot fait appel aux divers moyens de création et de renouvellement appartenant à la langue commune. L' argot est très populaire en France. Presque tous les Français emploient les mots argotiques dans leur langage. Dans cet article on a envisagé un nombre des mots argotiques dont se servent les étudiants français plus ou moins souvent.